ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 01-17/6

10/03/2017

6-01-17-4-201703101626

ქ.ქობულეთი

ქობულეთი, დაბა ჩაქვი, ბეჟანიძის ქუჩა N7ა-ში მცხოვრები მოქალაქე გურამ რუხაიას ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

2017 წლის 7 თებერვალს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ადმინისტრაციული საჩივრით მომართა ქობულეთი, დაბა ჩაქვი, ბეჟანიძის ქუჩა N7ა-ში მცხოვრები მოქალაქე გურამ რუახაიას წარმომადგენელმა თენგიზ კონცელიძემ, რითაც მოითხოვა ბათილად ვცნოთ ქობულეთის მუნიციპალიტეტსი საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 12 იანვრის N01-19/320 ბრძანება ,,დაბა ჩაქვი, ბეჟანიძის N11-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის (ამხანაგობა ,,ცისარტყელა"-ს) მიწის ნაკვეთის საზღვრების პროექტის შეთანხმების თაობაზე. ადმინისტრაციულ საჩივარში მხარე განმარტავს, რომ საჯარო რეესტრიდან გამოთხოვილი მასალებით ამხანაგობას ტექ. აღრიცხვის ბიუროს არქივში დაცული კორპუსის მიწის ნაკვეთის საინვენტარიზაციო გეგმა გააჩნია 1162 კვ. მეტრზე, ხოლო მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 12 იანვრის N01-19/320 ბრძანებით ამხანაგობაზე საკუთრებაში გადაცემულია 1532 კვ.მ მიწის ნაკვეთი ანუ 370 კვ.მ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი. მათი განცხადებით აღნიშნული ბრძანებით მნიშვნელოვნად დაზარალდა სახელმწიფო და შეილახა საზოგადოებრივი ინტერესები, რადგან შეეზღუდა მოსახლეობას საზოგადოებრივი სივრცე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 72-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 73-ე, 76-ე, 95-99-ე მუხლების თანახმად ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ქობულეთი, დაბა ჩაქვი, ბეჟანიძის ქუჩა N7ა-ში მცხოვრები მოქალაქე გურამ რუხაიას ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის მიზნით .

2. ადმინისტრაციული საქმის წარმოება ჩატარდეს 2017 წლის 30 მარტს 15-00 საათზე.

3. ადმინისტრაციული საქმის წარმოება განახორციელოს საკრებულოს იურიდიულ საპროცედურო, სამანდატო კომისიის თავმჯომარემ (მ.ჟორდანია), ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან (ვ. ქარცივაძე) და საკრებულოს მთავარ სპეციალისტებთან იურიდიულ საკითხებში (ს.ბეჟანიძე, თ.ვერულიძე) ერთად.

4. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობა ეთხოვოს გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსს თეონა გეგიძეს და მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსს ასლან ქათამაძეს.

5. ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩაბმულ იქნას გურამ რუხაია. ასევე მოწვეულ იქნას დაბა ჩაქვის ყოფილი ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული როინ ცინცაძე და გამგებლის მოქმედი წარმომადგენელი გიორგი ქებულაძე.

6. განემარტოს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე მხარეს, რომ უფლება აქვთ 2017 წლის 29 მარტის 13-00 საათამდე წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრებები და მტკიცებულებები, შემდეგ მისამართზე: ქობულეთი, აღმაშენებლის გამზირი №141. დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი მოსაზრებების (მტკიცებულებების) წარმოუდგენლობა არ დააბრკოლებს საქმის გადაწყვეტას.

7.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30).

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სულხან ოქროპირიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა